სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2011 წლის 10 მარტს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- **შპს ფორმინსტერი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (განაცხადი №38238/04)**

აპლიკანტი კომპანია დარეგისტრირებულია კვიპროსში. 2008 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი აპლიკანტი კომპანიის წილის მიღების არაგონივრული ვადით გაჭიანურების გამო, რადგან ჩეხური კომპანიის დირექტორთა საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, ხოლო ამ კომპანიასთან, მათ (განმცხადებლებს) გაფორმებული ჰქონდათ შეთანხმება შესყიდვებზე.

შემდგომში განმცხადებელი მიუთითებს, რომ კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება ჯერ არ იყო მზად გადაწყვეტილებისათვის. სასამართლოს ამ განჩინებაში დადგენილია დარღვევა, რაც შეესაბამება აპლიკანტის მხრიდან სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნას არამატერიალური ზიანის დასაფარად და ასევე მიეკუთვნა 4 000 ევრო ხარჯების დასაფარად.

- **რიაზანცევი რუსეთის წინააღმდეგ (№21774/06)**

აპლიკანტი ვალერი რიაზანცევი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1940 წელს და ცხოვრობს ტვერში (რუსეთი). განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დარღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. კერძოდ, ის მიუთითებს, რომ გაჭიანურებით მიმდინარებდა მისი საქმის განხილვა სასამართლოში, რომელსაც იგი აწარმოებდა სამშენებლო კომპანიის წინააღმდეგ საბოლოო თანადაფინანსების შეთანხმების მიღწევის მიზნით, ისევე როგორც ბინის სახელწოდების რეგისტრაციის მოთხოვნაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო და განმცხადებელს მიაკუთვნა 1 500 ევრო არამატერიალური ზიანის, ხოლო 71 ევრო – ხარჯების დასაფარად.

- **სუკი უკრაინის წინააღმდეგ (განაცხადი №10972/05)**

აპლიკანტი გრიგორი სუკი უკრაინის მოქალაქეა, დაიბადა 1956 წელს და ცხოვორობს პოლტავაში (უკრაინა). იგი იყო პოლტავის რეგიონალური სახანძრო დეპარტამენტის თანამშრომელი. თავის განაცხადში ის მიუთითებს, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი საჩივარი ყოველთვიური საარსებო ფულადი დავალიანების მიღებაზე, რაც 1999 წლიდან 2000 წლამდე არ მიუღია. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის I მუხლი. რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას, აპლიკანტის მხრიდან ასეთი მოთხოვნა არ დამდგარა.

<u>**გაჭიანურებული საქმეები**</u>

- **ჰატზიგიანისი საბერძნეთის წინააღმდეგ (განაცხადი №41769/08)**

აპლიკანტის სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაჭიანურებით მიმდინარეობდა, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს მიერ ბოშებისათვის განკუთვნილი საცხოვრებლის თვითნებურად გასხვისებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი.

- **ტიტარენკო რუსეთის წინააღმდეგ (განაცხადი №25966/04)**

საქმე ეხება სამსახურში დასაქმების საკითხს, რომელზეც სასამართლომ დაადგინა რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.